სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია.

წელიწადი პირველი.

ГРАЖДАНИНЪ ПОЛЕЗЕНЪ ТОЛЬКО ТРУДУ.

 კვირა, დეკემბრის 8, 1918 წ.

შრომა

ГАЗЕТА ПАРТІИ СОЦІ-РЕВОЛЮЦІОНЕРОВ.

გაზეთი გამოდის ყოველ-დღე გარდა უქმეების შემდეგ დღეებისა

გაზეთის ფასი:
ერთი თვით 10 მან., ცალკე ნომერი ყველგან ათი შაური.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი 1 მან., მეოთხეზე 80 კაპ.

სამგლოვიარო განცხადება:
12 საათამდის—15 მან., შემდეგ 20—მ.

რედაქცია ღიაა დილის 10—2 ს.
რედაქციასთან პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—12 ს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნეთ: Тифлис, Контора газ. „Шрома", Баронская ул., № 16. სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს კანტორა ვერ მიიღებს. კანტორა ღიაა დილის 10—2 ს. და საღამოს 5—7 სათ. რედაქციის სახელზე გამოგზავნილი წერილები უნდა იწერებოდეს ცალ გვერდზე, სუფთათ და გარკვევით. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

მისამართი: Тифлис, Редакція „Шрома", Барон. ул. № 16.

№ 95 ორგანო საქართველოში მომქმედ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 95

ნომრის შინაარსი:

წერილები:

მეთაური. მათი იმედები და ჩვენი მოვალეობა.
პრესა. ა. დენიკინის ენით, ბ. საფუძვლიანი შიში.
დილიანი. ორი სტიქია.
ი—ა. ლატარიის დღე.
პ. ს. საჩქარო საქმე.
Michel. ამხ. სეფიკო ქუთათელაძე.
ივ. ჩერქეზიშვილი. ბიუჯეტი.
პროვინცია „(ახალ-სენაკი).

ცნობები:

პეტლიურას ჯარმა დაამარცხა გეტმანის მომხრეები.
მოკავშირეები თხოულობენ ვილჰელმის და კრონპრინცის მათთვის გადაცემას.
ლაიპციგის საბჭომ დაადგინა გინდენბურგის დაჭერა.
ამერიკის ჯარი განაგრძობს გერმანიის ტერიტორიაზე წინსვლას.
სამშვიდობო დელეგაციის მეთაურათ იქნება ვილსონი.
ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა რკინის გზების ნაციონალიზაცია.
მინსკში დაარსდა მუშათა და ჯარის კაცთა საბჭო.
ბოლშევიკები ბრძოლით წინ მიიწევენ.

საქართველოში მომქმედ სოც.-რევ. პარტიის ყველა ორგანიზაციებს,

ამხანაგებო!

თანახმად ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა, ამა წლის 10 დეკემბერს ქ. თბილისში დანიშნულია საქართველოში მომქმედ სოც.-რევ. პარტიის ორგანიზაციების

მეორე ყრილობა.

დღიური წესრიგი:
1. ცენტრალურ კომიტეტის მოხსენება.
2. სამარლამენტო ფრაქციის მოხსენება.
3. მთავრობაში წარმომადგენლის მოხსენება.
4. პროგრამული საკითხები (მიწის, მუნიციპალური და სხვ.).
5. პარლამენტი და პარლამენტარიზმი.
6. პარტიის ტაქტიკა.
7. ახალი საორგანიზაციო წესდების შემუშავება.
8. ინტერნაციონალი.
9. პარტიული პრესა.
10. დამფუძნებელი კრება (კანდიდატთა სიის შედგენა, საარჩევნო კომპანია).
11. ფინანსები.
12. პარტიული მუშაობა.
13. მოხსენება ადგილებიდან.
14. მიმდინარე საკითხები.
15. ცენტრალური კომიტეტის არჩევნები.

წარმომადგენლობა: ყოველი ორგანიზაცია გზავნის თითო წარმომადგენელს. ორგანიზაციები, რომლების წევრთა რიცხვი 200 აღემატება, ყოველ 200-ზე გზავნიან თითო წარმომადგენელს.

ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

მთელს საქართველოში რვა დეკემბერს მოეწყობა საჯარო გაყიდვა ლატარიის ბილეთებისა.

შეიძინეთ ბილეთები და მით, პირად საქმესთან ერთად, დააყენეთ ტკვიდრ ნიადაგზე ერის პროგრესისათვის ესოდენ საჭირონი—**უნივერსიტეტი და თეატრი.**

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლოვსკაია.
ედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიცინურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ნერვიულ ავადმყოფთ და იძლევა ბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამის 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ., სახლი № 119 ტელ. 8—26.

ექიმი ი. კ. აბაკელია
შინაგანი ავადმყოფობა.
განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულ მკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.
ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველგვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 ს. პეტრე დიდის ქ. № 26 ტელ. 5—86

ბვირას, რვა დეკემბერს, დილის 11 საათზე, გაზ. „შრომა"ს რედაქციის ბინაზე (ბარონის ქ.. № 16) დანიშნულია

სოც.-რევ. პარტიის ტფილისის ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება

დღის წესრიგი:
1. საორგანიზაციო საკითხები.
2. პარტიულ ყრილობაზე დელეგატის არჩევა.

ქ. თბილისი, დეკემბრის 8.

მათი იმედები და ჩვენი ლისტურ საბჭოს **რემოვალეობა.** ზოლიუციამ, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკასთან დროებით შეერთების საჭიროება იყო აღიარებული, როგორც მკითხველებმა იციან, ჩვენი დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეთა ბანაკში დიდი აურ ზაური გამოიწვია. სოჩელი სოციალისტების წინააღმდეგ დორბლებსა ჰყრიდენ არამც თუ აშკარა კონტრ-რევოლიუციონერები, არამედ ზოგიერთი სოციალისტებიც კი. სოჭის სოციალისტ-რევოლიუციონერებისა და სოციალ-დემოკრატების მიერ ჩვენში არსებულ პოლიტიკური რეჟიმის დაფასება არ ეჭაშნიკათ.. დენიკინის აშკარა და ფარულ მიმდევართ, ვინაიდან ესენი თავის მეგობრებსა და ანგარიშებს აქაც, როგორც ყველგან, ამყარებდენ საქართველოში არსებული დემოკრატიული რეჟიმის ძაგებაზე, მისი პრესტიჟის დაცემაზე, მაგრამ როგორც სჩანს, რეაქციონერები მოსტყუვდენ თავის ანგარიშებში. ყუბანის კონტრ-რევოლიუციონერების მიზნები და გეგმები ყველასთვის აშკარა შეიქნა და ეს ყველაზე ადრე დაინახეს ისევ სოჭის მუშებმა და გლეხებმა. ამას ადასტურებს სოჭის საოლქო ყრილობის მიერ მიღებული რეზოლიუცია, რომელიც უკვე იყო გაზეთებში გამოქვეყნებული. რეზოლიუცია ადასტურებს სოჭის სოციალისტურ პარტიების მიერ მიღებულ დადგენილებას საქართველოსთან დროებით შეერთების შესახებ, რაც სავსებით ბუნებრივი არის. როდესაც საქმე მიდგა ყუბანის რეაქციას და საქართველოს დამოკრატიას შორის არჩევანზე, განა შეიძლებოდა სოჭის დემოკრატიას ზურგი ექცია საქართველოს დემოკრატიისათვის, იმ დემოკრატიისათვის, რომელმაც უმაგალითო პირობებში შესძლო დაემყარებია მტკიცე დემოკრატიული რეჟიმი?!

ყუბანი დღეს არის სინონიმი რეაქციაზე ორიენტაციისა, საქართველო კი სინონიმი დემოკრატიაზე ორიენტაციისა.

აშკარაა, სოჭის ჭეშმარიტ სოციალისტებს და რევოლიუციონერებს ჰქონდათ მხოლოდ ერთად ერთი გზა, მისაღები დემოკრატიისა და სოციალისტისათვის — ორიენტაცია იმ მხარეზე, რომელიც იძლევა დემოკრატმზმისაა და პოლიტ. თავისუფლების ყველაზე მეტს გარანტიებს. როგორც სჩანს, სოჭის საოლქო ყრილობას მდგომარეობა ფხიზლათ გაუთვალისწინებია. ის დროებით უერთდება საქართველოს და სურს საერთო ძალღონით განამტკიცოს ოლქში დემოკრატიული რეჟიმი. სოჭის დემოკრატიას და მის ხელმძღვანელთ იმედი აქვთ, რომ საქართველოს დემოკრატია მათ მფარველობას გაუწევს, მტკიცე საფუძველს ჩაუყრის ოლქში რევოლიუციის მონაპოვართ და მით იხსნის სოჭის დემოკრატიას ყუბანის შავი რეაქციის კლანჭებისაგან.

სოჭის დემოკრატიის ასეთი იმედები ჩვენ დიდ მოვალეობას გვაკისრებს. საჭიროა, რომ პარლამენტმა და მთავრობამ სოჭის ოლქს უადრესი ყურადღება მიაქციონ, ყოველი შემცდარი ნაბიჯი, ყოველი უტაქტო ზომა ჩვენს დემოკრატიას დიდ ზიანს მოუტანს. ყოველ მარცხს, ნებით თუ უნებლიეთ დაშვებულს უხვად გამოიყენებს ყუბანის რეაქცია.

ამიტომ გვჭირდება აქ ბრძნული პოლიტიკა და საღი მოქმედება. ჩვენ უნდა გავამართლოთ სოჭის დემოკრატიის იმედები, ეს კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც განვახორციელებთ სოჭის დემოკრატიის მოთხოვნილებებსა და სურვილებს. სოჭის დემოკრატია მოელის რევოლიუციის, როგორც პოლიტიკურ ისე სოციალურ მონაპოვართა, განმტკიცება განხორციელებას. ამ მხრივ საგულისხმოა რეზოლიუციის ის მუხლი, რომელიც მიწის საკითხში მოითხოვს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ მიწის კანონის განხორციელებას, ესე იგი მოითხოვს მიწის სოციალიზაციას.

შეიძლება ეს არ მოეწონოს ჩვენს მიწათმოქმედების სამინისტროს, რომელიც სულ საწინააღმდეგო გზას ადგია მიწის საკითხის გადაწყვეტაში, მაგრამ დემოკრატიის ინტერესები უმაღლესი კანონია და ვინც მას წინ აღუდგება ის ვერ განამტკიცებს ვერც ჩვენს დამოუკიდებლობას და ვერც პოლიტიკურ თავისუფლებას ჩვენში!..

ჩვენი რესპუბლიკა გახდება მიმზიდველი და საყვარელი არა მარტო თავისი პოლიტიკური თავისუფლებით, არამედ უმთავრესად თავისი ღრმა ხალხური სოციალური კანონმდებლობით და ცვლილებებით.

უყურადღებობამ და ხალხის ნამდვილ ინტერესებისათვის თავის დროზე და შესაფერისად ანგარიშის არ გაწევამ მეტად არივდარია ჩვენი საქმეები სოხუმის ოლქში. დღეს ეს უდაო ფაქტია. და ჩვენი სურვილია, რომ ეს გაკვეთილები სოჭის ოლქში მაინც გამოვიყენოთ!

პრესა.

დენიკინის ენით.

რუსეთის პრესაში, განსაკუთრებით რეაქციონურში, ხშირად შეხვდებით ცნობებს, თითქოს საქართველოს მთავრობა სდევნიდეს **რუს ოფიცრობას.** ამ ცილისწამების გასაბათილებლად და გასაქარწყლებლად 1 დეკემბერს მთავრობის თავმჯდომარემ საზეიმო სიტყვაში სხვათაშორის მოიყვანა ციფრები იმის შესახებ, თუ რამდენი ფული დაუხარჯავს საქართველოს მთავრობას ფრონტის სალიკვიდაციოთ.

ამ განცხადებას ეხება „ზნამია ნაროდა" და კითხულობს: აბა გვიბრძანეთ:

„რას უდრის რუსეთის მემკვიდრეობა, რომელიც მან საქართველოს დაუტოვაო".

შემდეგ ჩამოთვლილია შაქარი, ტყავი და სხვა. ზნამიას ვერ გაუგია, რომ ნ. ჟორდანიას განცხადებაში არ ყოფილა უარისყოფა იმ ფაქტის, რომ საქართველოში დარჩა ბევრი რამ რუსეთიდან ჩამოტანილი. არ უარუყვია ეს არც ერთს სოციალისტურ გაზეთს ჩვენში.

მთავრობის თავმჯდომარის სიტყვაში არ ყოფილა დაპირდაპირება რუსეთისა და საქართველოს ანგარიშების. იქ მხოლოდ ის აზრი იყო გატარებული, რომ ჩვენ კი არ ვსდევნით რუსის ოფიცრებსა და მოხელეებს, არამედ შეძლებისდაგვარად მათ ვეხმარებით და ჩვენი ლარიბი ხაზინიდან ას მილიონამდიც დავხარჯეთ ლიკვიდაციისათვისო.

ზნამია კი რუსეთის მიერ დატოვებულ მემკვიდრეობაზე სწერს.

დამახასიათებელია რომ ზნამიას გზაკვალ აბნეული „სოციალისტები" საქართველოს დამოუკიდებლობის ნახევარი წლის თავზე დენიკინის და ალექსეევის ენით ალაპარაკდენ!.

* * *

საფუძლიანი შიში.

გაზეთი „საქართველო" თავის პარტიულ პოლიტიკას არკვევს. ის მიმხვდარა, რომ სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეობამ ნიადაგი გამოაცალა ეროვნულ დემოკრატების მოღვაწეობას და თვით მათი არსებობა უაზროთ გახადა.

გაზეთი სწერს:

„უცილობელია ის ფაქტი, რომ ქართველი სოციალ დემოკრატია ალარ წარმოადგენს კლასობრივ პარტიას და არც კლასობრივ პოლიტიკას აწარმოებს. ეს ხალხი გაიმსჭვალა ეროვნული პათოსითა და ეროვნული იდეოლოგიით, რომელსაც თითქმის არაფერი საერთო არა აქვს მარქსისტულ სოციალიზმთან. ვის ინტერესებს იცავდა ბ. ჟორდანიისა და ბ. რამიშვილის მთავრობა, როცა ის სკოლისა, ადმინისტრაციის, ან სასამართლოს ნაციონალიზაციას ახდენდა? ვის ინტერესებს იცავდა

ის, როცა ლორისა, ჯავახეთისა ან წალკის გულისთვის არარატის რესპუბლიკის წინააღმდეგ საომრად ემზადებოდა? არა მარტო პროლეტარიატისა, ან ბოგანო გლეხებისათვის არის საჭირო ტერიტორიისა ან ენის დაცვა და ახოვანი სულიერი კულტურის შექმნა, არამედ ყველა ეროვნულ ელემენტების, კლასობრივი მდგომარეობის მიუხედავად. და სოციალდემოკრატიული მთავრობაც სწორეთ ინტეგრალურ ეროვნულ პოლიტიკას აწარმოებს როგორც შიგნით, ისე გარეთ.

ასეთი მდგომარეობა დიდს ხიფათს შეიცავს ეროვნული დემოკრატიისთვის".

გაზეთი დაასკვნის:

„ამიტომ დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩვენ შეგვშვენის ბრძოლა ძალა უფლების ხელში ჩასაგდებათ"-ო.

რა თქმა უნდა „პოლიტიკურ დეზერტირებსა და საზოგადოებრივი ინვალიდების" პარტიას ყველაფერი შეშვენის, მაგრამ რატომღაც არ ამბობს საქართველო, როგორ ფიქრობს მისი პარტია ძალა უფლების ხელში ჩაგდებას?

ეროვნულ დემოკრატებს მას შემდეგ, რაც მათ ჩამოშორდენ დამოუკიდებელნი, ძალები კი არ მომატებიათ, არამედ მოაკლდათ. ისინი კი არ გაძლიერებულან, არამედ დასუსტდენ. ასეთ პირობებში ძალა უფლების ხელში ჩაგდების სურვილი, არ ვიცით, რით არის გამოწვეული.

მართალია პარლამენტმა მინისტრებს ჯამაგირები მოუმატა, მაგრამ რეალ პოლიტიკის პარტიას მართებს ანგარიში გაუწიოს „სუბიექტიურ სურვილებს" გარდა „ობიექტიურ შესაძლებლობას და ძალთა განწყობილებაც"!..

ორი სტიქია.

დეპეშების ცნობით, ბოლშევიკებმა სცადეს ვიბორგის აღმოსავლეთით დესანტის გადმოსხმა, მაგრამ იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ. ბოლშევიკების გემები კონტროლს უწევენ ფინის ყურეს. ბოლშევიკები ახალ ახალ პოზიციებს იკავებენ.

ამერიკის მესამე არმია განაგრძობს გერმანიის ტერიტორიაზე წინსვლას. ამ ჟამათ მან მიაღწია გლაადტ-ვალენბორნ-დაგუნ-ნაველრსკუერენ-რინგერკოთვის საერთო ხაზს.

ამ ცნობებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ამერიკის იმპერიალიზმი გერმანიის დამარცხებით არ კმაყოფილდება, მას სურს მისი სრული განადგურება. ამ მიზნით გერმანიის ტერიტორიაზე ამერიკის არმია განაგრძობს წინსვლას. რასაკვირველია, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ იმპერიალიზმს სუმანიური მიზნები არასოდეს არ ექონია და ყოველივე მყვირალ ფრაზეოლოგია ერების განთავისუფლების შესახებ ერთნაირი მახინაცია იყო, რომ გულუბრყვილოებისათვის თვალები აეხვია და ფონს იოლათ ასულიყო. მაგრამ იმპერიალისტები ებრალო წინდახედულობასაც ვერ ჩენენ.

ინგლის-ამერიკის გამარჯვებული იმპერიალიზმი სტიქიური შეუჩერებლობით მიექანება ახალ-ახალი პოზიციების დასაპყრობათ. მის განუზღვრელ მადას ვერავითარი პირობები ვერ აკმაყოფილებს. მეორეს მხრით ჩვენ ვხედავთ მეორე უკიდურესობას—ბოლშევიზმს. ბოლშევიზმი რუსეთში, წინააღმდეგ მოლოდინისა, ანდათან ძლიერდება. გადადის ის სხვა ქვეყნებშიც. ბოლშევიზმი პირველი უარყოფაა პირველი მოვლენის, მაგრამ მათ ერთი საერთო აქვთ. ორივე მოვლენა სტიქიური და განადგურებელი ხასიათისაა. როგორც პირველი, ისე მეორე აპარტაციას და აცალიერებს ყოველივეს, ვიდრე კი თვის ფარგლებში მოიმწყვდევს. ანადგურებს სულიერს და ნივთიერ კულტურას, ამახინჯებს მასის ფსიხოლოგიას და ამგვარათ სპობს როგორც ობიექტიურ, ისე სუბიექტიურ შესაძლებლობას კაცობრიობის აღორძინება-განავითარებისათვის.

მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბოლშევიზმს უზენაესი მიზნები აქვს დასახული და ამ მიზნების სახელით მოქმედობს. ტრაღიზმი აქ მხოლოთ იმაში მდგომარეობს, რომ ამ მიზნებისაკენ ბოლშევიზმი სტიქიური გზით მიდის. ეს შეუფერებლობა მიზნების და საშვალების—გვაძლევს იმ უარყოფითი შედეგებს, რომელიც უკვე ავღნიშნეთ. ამიტომ ყოველი შეგნებული რევოლიუციონერის მოვალეობაა შეიტანოს თვისი წვლილი ამ მოძრაობის სწორ გზაზე შეყენების საქმეში. წაართვით ბოლშევიზმს სტიქიური ხასიათი, მიეცით მას მეთოდიური სვლა და თქვენ წინ გადაიშლება დიადი შეუპოვარი მოძრაობა კაცობრიობის განთავისუფლებისათვის. ამიტომ რევოლიუციონერების მიზანი უნდა იყოს, არა ბოლშევიკურ ელემენტების განადგურება, არამედ გამოყენება მათი ორგანიზაციულათ შეკავშირებით და ბრძოლის ერთნაირ კალაპოტში ჩაყენებით. აი ამ შესაძლებლობას უნდა მივაქციოთ დიდი ყურადღება. რაც შეეხება იმპერიალისტურ სტიქიას, მის წინააღმდეგ ერთად ერთი საშვალება—ეს სასტიკი და შეურიგებელი ბრძოლაა. კომპრომისები აქ საქმეს ვერ შველის, კიდევაც ავნებს. რამდენს დაუთმობს რევოლიუციონური დემოკრატია, იმდენს წინ წამოიწევს და გაადიდებს პრეტენზიებს ბურჟუაზია. ორი სტიქია—იმპერიალისტური და ბოლშევიკური—განადგურებით ემუქრება კაცობრიობას. საჭიროა პირველთან სასტიკი ბრძოლა სრულ განადგურებამდე, მეორესი კი გარდაქმნა რევოლიუციონურ, მეთოდიურ მოძრაობათ, დიადი საბოლოო მიზნების განსახორციელებლათ. დღეს უმოქმედობა არავითარი მოსაზრებით ვერ გამართლდება. უდიდესი მომენტი კაცობრიობის განახლებისა მოითხოვს ავამოძრავოთ სავსებით მთელი რევოლიუციონური ენერგია, რომ შემოქმედებითი პროცესი შესაფერისი ტემპით და სისრულით ვაწარმოვოთ. **დილიანი.**

იუსტიციის სამინისტროში.

ქუთაისის ოლქის სამმართველოს თავმჯდომარის და პროკურორის ჩამოსვლა.

ჩამოვიდენ ტფილისში სამსახურის საქმეების გამო ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ნ. მ. ქიქოძე და ამავე სასამართლოს პროკურორი ა. პ. გელაზაროვი.

ახალი კრედიტები.

იუსტიციის მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე 50,000 მან. კრედიტის გახსნის შესახებ სხვა და სხვა სახელმძღვანელოების და კანონთა კრებულების საბეჭდავად და 3.000 მან. კრედიტისა გამომძიებელთა ერთის თვის კურსების მოსაწყობად.

განქორწინების პროექტი.

განქორწინების პროექტი განხილული საუწყებათაშორისო კომისიის მიერ, წარედგინა მთავრობას.

ახალი განწესებანი

თანახმად აუსტიციის სამინისტროს მიწერილობისა, ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარემ და პროკურორმა წარმოუდგინეს სამინისტროს კანდიდატთა სია ბრალმდებლის ამხანაგების და სასამართლოს გამომძიებელთა თანამდებობაზე ხსენებულ სასამართლოს სათანადო განწესებანი ამ დღეებში გადასწყდება სამინისტროში.

სასამართლო და ადმინისტრაცია.

იუსტიციის მინისტრის კითხვაზე, სასამართლო დაწესებულებათ ცნობები გამოგზავნეს იმის დასახასიათებლათ, თუ რამდენად აფერხებს სასამართლოს საქმიანობას ადმინისტრაციის ჯეროვნად მოუწყობლობა ყველა მოხსენებაში აღნიშნულია, რომ უმთავრესი მიზეზი საქმეების გადადებისა არის უწყებების ჩაუბარებლობა, თფილისის ოლქის სასამართლოში 660 საქმე გადადებულია, ამ წლის განმავლობაში ხსენებულ მიზეზისა გამო, ქუთაისის ოლქის სასამართლოში ოქტომბრის და ნოემბრის განმავლობაში 142 საქმე გადაუდვიათ.

ძეგვის ხიდი.

ძეგვის ხიდის აფეთქების საქმის გამოძიება დასრულდა და გადაეცა საგანსაკონო სასამართლოს. საქმე გაირჩევა დეკემბრის შუა რიცხვებში.

საპყრობილეთა ინსპექცია.

საპყრობილეთა ინსპექცია სასამართლო უწყების დაწესებულებათა შენობაში გადავიდა.

ლატარიის დღე.

ხვალინდელი დღე, 8 დეკემბერი, გამოცხადებულია ლატარიის დღეთ. ამ დღეს სხვა და სხვა მხრივ აქვს მნიშვნელობა. ერთი, მან უნდა გამოააშკარავოს რამდენათ მომზადებული ვართ ჩვენ, ქართველები ასეთი დიადი შემთხვევისათვის, როდესაც საჭიროა ზნეობრივი და ნივთიერი დახმარება ჩვენი უდიდესი ეროვნული საგანძურისათვის, როგორიცაა ქართული თეატრი და უნივერსიტეტი. ჩვენი ეროვნული მე, ეხლა განთავისუფლდა გარეშე ძალის განმანადგურებელ კლანჭებისაგან. მას ეხლა შეექმნა პირობები განვითარების. ეხლა ჩვენზეა ყველაფერი დამოკიდებული. ჩვენი ეროვნული სული ძლიერია, მასში უშრეტი დიადი შესაძლებლობანია ჩამარხული, მაგრამ ეს არ კმარა. ფარული შესაძლებლობანი, პოტენციალი ნიჭი, ვერ ნახავს გამოსავალს, თუ საამისო პირობები არ იქნა. ამისათვის აუცილებლივ საჭიროა შევქმნათ ჩვენი ერის კულტურული აღორძინება-განვითარებისათვის შესაფერისი პირობები. თეატრი და უნივერსიტეტი — ეს ორი უდიდესი წყაროა ეროვნულ კულტურის წარმატებისა.

თეატრი და უნივერსიტეტი—ხელოვნების და მეცნიერების ტაძარი—ბორომტრია ერის კულტურულობისა. ძლიერ, კულტოსან ერს ძლიერი და ყოველ-მხრივ წარმატებული თეატრი და უნივერსიტეტი აქვს. ჩვენი წინსვლა, ეროვნული სახის გაფურჩქვნა შეუძლებელია, თუ არ გვექნა ხელოვნების და მეცნიერების ტაძარი. ამიტომ ყოველი ქართველი ვალდებულია თვისი წვლილი შეიტანოს ეროვნულ საგანძურის საკეთროში. იმ ქართველმა, რომელსაც შეუგნია ჩვენი ერის მდგომარეობა და ეტრფის მის დიად მომავალს, პირადი წვლილის შეტანის გარდა ფართო აგიტაცია უნდა გაწიოს ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია, და აუხსნას ყველას ხვალინდელი დღის დიადი მნიშვნელობა.

მოგიწოდებთ ყველა ქართველს ხელი გაუწოდოთ ჩვენ დიად ეროვნულ საქმეს, დაეხმარეთ ქართულ თეატრს და ქართულ უნივერსიტეტს. შეიძინეთ ლატარიის ბილეთები ხვალინდელი დღე დიადი ეროვნული დღეა.

შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა! დავეხმაროთ ხელოვნებისა და მეცნიერების ტაძრებს—თეატრსა და უნივერსიტეტს! შეიძინოთ ლატარიის ბილეთები! **ი—ა.**

საჩქარო საქმე

ჩვენი რესპუბლიკანური ჯარები შევიდნენ ახალციხე-ახალ-ქალაქის მაზრებში.

მრავალ-ტანჯული მხარე კვლავ დაუბრუნდა საქართველოს.

ამიერიდან ის შეადგენს განუყოფელ ნაწილს თავისუფალ საქართველოსას.

ოსმალოს მიერ აკლებულ და აოხრებულ მხარის მცხოვრებნი, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, აღტაცებით შეხვდნენ რესპუბლიკის ჯარებს, რომელთაც თან მიაქვთ მშვიდობიანობა და წესიერება.

დღიდან ჩვენი ჯარების იქ შესვლისა მცხოვრებთ ეძლევა საშუალება დაუბრუნდენ კეთილ-შობილურ შრომას და მშვიდობიან ცხოვრებას; მათ აღარ აქვთ შიში აკლება-განადგურებისა და უაზრო ტანჯვა-წვალებისა.

განთავისუფლდნენ იმპერიალიზმის საშინელებისაგან ჩვენი მოძმენი, მძიმე უღელი ჩამოშორდა მათ კისერს, კვლავ ნათელი მოეფინა წყვდიადით მოცულ მხარეს, დღემ დასძლია ღამეს, სამართლიანობამ-უსამართლობას.

დესპოტიზმმა გზა დაუცალა დემოკრატიზმს.

ახალციხე-ახალქალაქის მაზრების მცხოვრებნი შეიქნენ თავისუფალი მოქალაქენი თავისუფალ საქართველოში.

ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რას ნიშნავს ოსმალეთის მიერ მიწა-წყლის დაპყრობა და მფლობელობა ოსმალეთის ფაშების და ბეგებისა.

ეს სრული განადგურებაა კულტურის, დანგრევა და მოკვლა მეურნეობისა, გაფლანგვა და აკლება ხალხის სიმდიდრისა.

ამიტომ ადვილი წარმოსადგენია ის სამწუხარო სურათი, რომელსაც წარმოადგენს კულტურის, მეურნეობის და ხალხის ავლა-დიდების მხრივ ახლად განთავისუფლებული, ოსმალოს მიერ დაპყრობამდის მდიდარი და აყვავებული მხარე.

საჭიროა, რომ დაბრუნებულ ლტოლვილებს დაუყონებლივ აღმოუჩინოს სახელმწიფომ დახმარება ფულით, სურსათით სამეურნეო იარაღით.

ვალდებულია საქართველოს მთავრობამ ეხლავე გაუმაგროს წელი დაუმსახურებლად ტანჯულ ხალხს და მისცეს მას იმედი უკეთესი მომავლისა.

რასაკვირველია, ღენერალ-გუბერნატორს და ჯარისკაცებს არ შეუძლიან იზრუნონ აღნიშნულ საგანზე, მათ თავისი სპეციალური მოვალეობა აქვთ.

მცხოვრებთა ფართო დახმარების მოსაწყობათ საჭიროა დაუყონებლივ იქნას შექნილი განსაკუთრებითი ორგანო, რომლის განკარგულებაში უნდა გადაიდგას საკმაოდ მოზდილი თანხა სახელმწიფო ხაზინიდან. სახელმწიფოებრივი მოსაზრებით ამ საქმის დაყოვნება შეუძლებელია.

ეს უნდა გაკეთდეს სანამ ბნელი ძალები თავისებურ აგიტაციას გააჩაღებდენ სიტყვიერად და მწერლობით. **პ. ს.**

ახალი ამბავი

ვაგონი ლტოლვილებს. გზათა სამინისტრომ ჯავახელ ლტოლვილებს მისცა ერთი ვაგონი ბარგის გადასაზიდათ.

○ **გზათა** სამინისტროს სატერმინოლოგიო კომისიის უკანასკნელ სხდომამ, რომელიც შესდგა ივ. მაჭავარიანის თავმჯდომარეობით, პროფესორ ჯავახიშვილის, ისტორიკოს მოსე ჯანაშვილის და ექიმ ვახტანგ ღამბაშიძის მონაწილეობით განიხილა ქართული ენის სადაო ტერმინები და შეიმუშავა მთელი მასალა ტერმინებისა, რომელთა რიცხვი 1260-ს უდრის. მთელი ეს მასალა წარედგინა კომისიის თავმჯდომარე ფიცხელაურს, რომელმაც მოიწონა და მიანდო კომისიის მდივანს, არონიშიძეს მისი დაბეჭდვის საქმე.

⊖ **კრება.** თბილისის სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებიებს უფროს მასპინძელთა კავშირის, გამგეობა, ცხოვრებს ზევით ხსენებულ კავშირის გაგეობის წევრებს, მოგბრძანდენ საერთო კრებაზე, რომელიც დანიშნულია კვირას, დილის 2 საათზე კადეტ. კორპუსის შენობაში. (გოლ. პროსპ.) დღის წესრიგია: 1) ჯამაგირების მომატების შესახებ, 2) კოოპერატივის დაარსება, 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4) მიმდინარე საქმეები.

⊖ **მაზუთის და ნავთის განაწილება.** ვაჭრობამრეწველობის მინისტრი აცნობებს ნავთსადენის უფროსს, რომ დროებითი ბიუროს, რომელიც შესდგა სათბობ მასალის გასაწესრიგებლათ, 5 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა: 36 ვაგონი მაზუთი და 4 ვაგონი ნავთი შემდეგნაირათ გაწესრიგდეს: საქართველოს სახაზინო გზებისათვის 23 ვაგონი, კახეთის გზებს 2. ქალაქის წყალსადენისათვის 5. თბილ. ქალაქის თვითმართველობას 1., სამხედრო უწყებას 1, მექარხნეთა და ფაბრიკანტთა საზოგადოებას 1. ნავთი: სახაზინო გზებს 1 ვაგონი, სამხედრო უწყებას—1, სიღნაღის მაზრას 1, ჭიათურას 1.

⊖ **ნავთი.** ქართულ ტეხნიკურ კომისიის წევრი ტოლსტონოგოვი ბაქოდან აცნობებს გზათა მინისტრს, რომ 6 დეკემბერს ბაქოდან საქართველოს რესპუბლიკისათვის გამოგზავნილ იქნა 50 ვაგონი სათბობი მასალა. ამის შემდეგ ნავთით უზრუნველყოფილი ვიქნებით, რადგან იმუშავებს ნავთის მილები, რომელიც დაქაჩავებულ იქნება პირველად მოკავშირეებისათვის და შემდეგ საქართველოსათვის.

⊖ **მაყაშვილის დეპეშა სამხედრო მინისტრს.** თბილისი. 6 დეკ. ახალქალაქიდან სამხედრო მინისტრს შემდეგი დეპეშა მოუვიდა: 5 დეკემბერს, დილის 10 საათზე ჩვენმა ჯარმა დაიჭირა ახალქალაქი. მცხოვრებნი პურ-მარილით შეგვხვდენ. ყველგან ცარცვა-გლეჯა იყო. ამის წინააღმდეგ მიღებულია სასტიკი ზომები. გავგზანეთ რაზმები. მცხოვრებლებს განვუცხადეთ, რომ თავის ადგილებზე დაბრუნდენ. ოსმალებს დაუწვავთ ოფიცერთა ერთი სადგომი, სადაც ხორბალი იყო. სულიერი განწყობილება საუკეთესოა

გენერალი მაყაშვილი

⊖ **თბილისის სამაზრო ერობის დეპეშა.** საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავმჯდომარეს.

თბილისის მაზრის ერობის ხმოსანთა პირველი ყრილობა ესალმება საქართველოს დემოკრატიულ და რევოლიუციონურ მთავრობას და უცხადებს მას, რომ თბილისის სამაზრო ერობა მზათ არის მთელი თავისი ძალ-ღონით ემსახუროს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცებას დემოკრატიის საბოლოვო მიზნის მისაღწევათ. თავმჯდომარე ლ. მამულაშვილი. მდივანი ნ. გვანცალაძე.

⊖ **მაყაშვილის დეპეშა.** სამხედრო მინისტრის სახელზე ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენ.-გუბერნატორისაგან მიღებულია შემდეგი დეპეშა:

4 დეკემბერს, 14 საათზე საქართველოს რესპუბლიკის ჯარი შევიდა ახალციხეში. მცხოვრებნი დიდი სიხარულით და ენტუზიაზმით შეეგება ჯარს. ულოცავდენ და კოცნიდენ ერთმანეთს. ყველა სახელმწიფოს სადგომი და სახლები დაზიანებული და გაფუჭებულია. ჯარი დროებით კერძო სახლებში სდგას. დაინიშნა კომისია ზარალის გამოსარკვევათ. მრავალი სამხედრო მასალა და ყუმბარა გადაყრილია მდინარეში. ხვალიდან შეუდგებით მათ ამოღებას. ყველა ერის წარმომადგენელნი ერთგულობის ფიცს სდებს საქართველოს რესპუბლიკის წინაშე. გენერალ-მაიორი მაყაშვილი.

რევოლიუციონურ გერმანიაში.

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

გერმანიის სახელმწიფოთა კონ-ფერენცია.

24 ნოემბ. ბერლინში შესდგა ელმწიფოთა კონფერენცია, რო-ლშიაც მონაწილეობა მიიღო გერ-ნიის კავშირთა ყველა წარმომად-ენელმა. კონფერენციის მიზანია არ უშვას კავშირის წევრთა სეპარა-ული გამოსვლა, განსაკუთრებით არეო პოლიტიკაში და ბერლინის ვრობა იცნონ საერთო სახელმწი-ს მთავრობათ. უმრავლესობამ, ერესობის ხმის წინააღმდეგ გა-წყვიტა რაც შეიძლება მალე იქ-მოწვეული ეროვნული კრება. როებითი ზავის პირობების აღ-სრულების საქმე საერთოდ წესიერათ მიმდინარეობს. მოკავშირეთა სახელ-მწიფოები, მიუხედავათ იმისა, რომ ტრანსპორტის მდგომარეობა თან და თან უარესდება, არაფერს თმობენ. მუშების გაფიცვით გამოწვეული ნა-ხშირის სიმკირე და უსურსათობა განსაკუთრებით ბერლინში დიდ საფრ-თხეს გვიმზადებს. ის გარემოება, რომ შეთანხმების სახელმწიფონი დაჟინებით მოითხოვენ დროებითი ზავის პირობების ყველა წვრილმანის შე-სრულებას შიშს ბადებს, ვინაიდან ფიქრობენ შეთანხმების სახელმწიფონი მიზეზს ეძებენ დროებითი ზავის ვადის გათავების შემდეგ გერმანიის სხვა ოლქების დასაპყრობათ.

...ალამენტის ქრონიკა

...შინ, პარასკევს, დეკემბრის 6 ...ვა საქართველოს პარლამენტის ...გი სხდომა. რ. არსენიძის მოხ-...ით დამტკიცებულ იქმნა საბო-...ი ტექსტი — სახელმწიფო კონ-...ლის: 1) დებულებისა, 2) სა-...ზიო წესდებისა და 3) შტა-...

...ონპროექტი, შესახებ ძვირფას ...ურის მამულებში პროდუქტე-...ეკვიზიციისა, რომელიც წარ-...ენილ იყო მიწადმოქმედების ...ტრის, ნოე ხომერიკის მიერ და ...ებული აგრარული კომისიის ... მთავრობის თავმჯდომარის ...ით მოხსნილ იქმნა დღის წეს-...ან.

...ამხ. სეფიკო ქუთა-თელაძე.

...ომდენიმე ხნის წინათ გარდა-...ა ჩვენი პარტიის ჩუმი, თა-...ული მუშაკი ამხ. სეფიკო. სამ-...ოთ ძვირფას ამხანაგის გარდა-...ის ამბავი გვიან გავიგეთ.

...მწუხარებას აორკეცებს ის გა-...ა, რომ ამხანაგის დასაფლა-...ერ დავესწარით, მწუხარებას ...ეცებს ის, რომ ამხ. სეფიკოს, ...ფიკოს, უკანასკნელი ნუგეში ...ხარით.

...ოთ შენ, ძვირფასო სეფიკო, ...ებოდა უკანასკნელ წუთებში ...ანაგები და მეგობრები.

...ოთ შენც ძლიერ შეგაწუხებდა ... შენთან უკანასკნელ წამს ...ავდი მათ, რომლებთანაც ...ად გიმუშავნია, მთელი შენი ...ე საკოცხლის განმავლობა-...შავნია ჩვენი პარტიის ბრწყი-...ნვალისთვის, მშრომელ ხალ-...თა გამარჯვებისთვის.

...ე სეფიკო, რომ შენ, რო-...უდამ ჩვენთან იყავი ჩვენ ... მწუხარების, გაჭირვების ...ბიარებდი ჩვენს ლხინსა და ...ტო იყავ უკანასკნელ წუ-...გრამ შენ ვერ დაგივიწყე-... ამხანაგები, შენ ვერ დაგი-...შრომელი ხალხი, რომელ-...ებისამებრ ემსახურებოდი. ...ისთანა ჩუმი მუშაკნი უწყო-... საერთო საქმის გამარჯვე-...საც ვიტყვი, შენისთანა ... მყვირალა მუშაკნი. მათი ... მუშაობით ამაგრებენ ყო-...თ საქმის საძირკველს.

... შენისთანა ჩუმი **უსახე-...ები** ქმნიდენ და ქმნიან ... პირობებს მშრომელი ... ჩვენი პარტიის ბრწყი-...რჯვებისას.

...მასა ვერ გიცნობდა შენ ...ეფიკო; მაგრამ განა თვით ...თვის არ გაურბოდი ასეთ ...ობას! განა თვით შენ ...ბას, ბედნიერებას, მხო-... ჩუმ მუშაობაში ის ხე-...

... ასეთი იყავი ძვირფასო ...

...ეყვარდა შენი მუშაობის ...არაკი, შენ არ გიყვარ-...ლის მოხვეჭა.

... მაგონდება შენი ხან-...ცხლის ზოგიერთი მო-...მენტები, ნათლად მიდგება თვალწინ შენი სპეტაკი ბრწყინვალე პიროვ-ნება.

შენი მგრძნობიარე ბუნება ვერ იტანდა იმ უსამართლობას, ტანჯვა-წვალებას, რომელიც გამეფებული იყო და არის გარშემო.

მახსოვს, მაგონდება სიძლიერე შე-ნი უსაზღვრო, ღრმა სევდისა, რო-მელიც ნიჭიერათ იყო გადმოცემული მრავალ შენს ლექსებში.

შენ გზებს ეძიებდი უსამართლო-ბის დასამხობათ.

შენ ეძებდი ჭეშმარიტებს, მიილ-ტვოდი სამართლიანობისა და სიმარ-თლის გამარჯვებისაკენ.

და აი შენ მიდი იმ პარტიაში, რომელიც ყველაზე მეტად განაწა-მებია ამ უსამართლობით, შენ მიდი იმ პარტიაში, რომელიც თავს უყრი-და სიმართლისა და სამართლიანო-ბისათვის მებრძოლთ, რომელიც მშრომელთა ბედნიერებისათვის ბძრო-ლისაკენ მოუხმობდა ყველას! იმ ხანებში (1914 წ.), როდესაც ქუ-თაისში აწყო გამოსვლა სოც. რევ. პარტიის ორგანო „შრომა“-მ, დაარ-სდა სოც.-რევ. მოწაფეთა წრეც.

ამ წრის გარშემო ვიკრიბებოდით ქუთაისის ყველა სასწავლებლების ესერი მოწაფე-ახალგაზდები.

ჩვენთან ერთად მაშინ ამხ. სეფი-კოც იყო.

გარეგნულათ ჩუმი ის მუდამ მშფოთვარე, მოძრავი იყო სულით, ის ცხარე მონაწილეობას ღებულობ-და ჩვენს მუშაობაში

იმ ხანებში აზრი დაგვებადა, ნა-ცვლად ინტერპარტიულ მოწაფეთა ხელთნაწერი გაზეთისა--დაგვეარსებია ჩვენი პარტიული ხელთნაწერი გაზეთი ჩვენი ზარი“.

ეს განზრახვა ამხანაგებს გადავე-ცი. მახსოვს თუ როგორ აღრფთო-ვანებით შეხვდი ამას შენ, ძვირფასო სეფიკო მახსოვს როგორ დაუღალა-ვათ მუშაობდი შენ ჩვენთან ერთად ამ გაზეთის გამოსაცემათ.

შენ ხშირად სევდას ჰპოებდი, იტანჯებოდი არსებული უსამართ-ლობით, მაგრამ ამ მუშაობაში შენ ბედნიერებას ჰპოებდი. და ამ უან-გარო, სახიფათო მუშაობის დროს შენ ახლობელ ამხანაგებისათვის თვალწინ იშლებოდა შენი ნათელი პიროვნება.

სხვებთან ერთად შენც უშიშრათ ავრცელებდი ჩვენს ხელთნაწერ გა-ზეთს მოწაფეებში.

ამ ხელთ ნაწერმა გაზეთმა („ჩვე-ნმა ზარმა“) ჩაუყარა საძირკველი რეაქციის დროს მოწაფეთა ჩვენ პარტიულ ორგანიზაციებს.

ამ მუშაობაში შენც შენი წვლი-ლი შეგქონდა დაუვიწყარო ამხანა-გო! ასეთივე დაუღალავათ, ჩუმათ მუშაობდი რევოლიუციის დროსაც.

შენი ხანმოკლე სიცოცხლე გამუდ-მებული მუშაობა იყო ჩვენი პარ-ტიის მომავლისათვის. დაუფასებელი იყავი შენ ჩვენთვის.

ეს იციან მხოლოდ შენმა ახლო-ბელმა ამხანაგებმა, ეს ვიცით ჩვენ. მაგრამ ამას გაიგებენ ისინიც, ვინც გაეცნობა წარსულს, დაუკვირდება მას იქ ისინი შეამჩნევენ **უსახელო გმირთა** მუშაობის ნაყოფს. იქ ისი-ნი შეამჩნევენ **უსახელო** გმირთა სა-ხეებსაც, მათთან ერთად შენც იქნები ძვირფასო სეფიკო! შენ ღრმათ გწამდა ჩვენი ბრწყინვალე მომავალი, ღრმათ გწამდა მშრომელი ხალხის და ჩვენი პარტიის იდეალე-ბის გამარჯვება, ამ რწმენით ჩადი ციე სამარეში. ამ სამარის წინაშე ჩვენ, შენი ამხანაგები ცხარე ცრემ-ლებით დავსტირით ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ამხანაგის დაკარ-გვას.

Michel.

ბ ი უ ჯ ე ტ ი

(გაგრძელება) *)

სახელმწიფოების ერთი ჯგუფი და მათ შორის რუსეთი, თავის საბიუ-ჯეტო წელიწადს 1 იანვრიდან იწ-ყებს.

ამ სახელმწიფოების სამოქალაქო და საბიუჯეტო წლის დასაწყისი ერთი და იგივეა.

რადგან პარლამენტის მუშაობა ჩვეულებრივ ზამთარში და გაზა-ფხულზე დიდხნობით სწარმოებს და მაისის შემდეგ უმეტეს შემთხვევაში შესწყდება ხოლმე შემოდგომამდე. ისეთ რთულ კანონპროექტის გან-ხილვა, როგორიც არის ბიუჯეტი, სწორეთ ზამთრის სესიის განმავლო-ბაში უნდა ხდებოდეს.

ამიტომ, თუ ბიუჯეტის ასრუ-ლება დაუმტკიცებლად შეუწყნარე-ბელია, ყველა იმ სახელმწიფოებს, რომლებიც საფინანსო, ანუ საბიუ-ჯეტო წელიწადს 1 იანვრიდან იწ-ყებენ, ბიუჯეტი ამ დროისთვის უკვე დამტკიცებული უნდა ჰქონდეთ.

ეს კი ტეხნიკურად შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი მთელ ზამთრის და გაზაფხულის სესიებს ბიუჯეტის გან-ხილვა-დამტკიცებას მოახმარებს.

მაშინ სახელმწიფო ბიუჯეტი მაი-სის გასულს ან ივნისის დამდეგს მიღებული იქნება.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ამ წესს ის ნაკლი აქვს, რომ ვარაუ-დის შედგენის და ბიუჯეტის სისრუ-ლეში მოყვანის შორის მეტად ხან-გრძლივი დრო გადის. მაგალითად, 1917 წლის ოქტომბერ-ნოემბერში შემუშავებული ხარჯთაღრიცხვა 1919 წლის იანვრიდან უნდა სისრულეში იქმნეს მოყვანილი, ისე რომ ამ ორ მომენტის შორის თითქმის 14—15 თვე გავა.

ამ ნაკლის თავიდან ასაცილებ-ლად ზოგიერთი სახელმწიფო თავის საბიუჯეტო ანუ საფინანსო წელი-წადს 1 ივლისიდან იწყებს.

ამ წესის შემოღებით მთავრობას საშუალება ეძლევა ნავარაუდი მე-ტად დაუახლოვოს სახელმწიფოს ნამდვილ მოთხოვნილებას და ამით ბიუჯეტის წინასწორობის აუცილე-ბელი პირობა შეასრულოს და სმე-ტის ვარაუდის შედგენის და ბიუ-ჯეტის სისრულეში მოყვანის შო-რის ვადა შესამჩნევად შეამციროს.

მართლადაც თუ მთავრობა ოქ-ტომბერში ან ნოემბერში შეიმუშა-ვებს ხარჯთაღრიცხვის ვარაუდს და პარლამენტი საბიუჯეტო კომისიაში ზამთრის სესიის განმავლობაში მას განიხილავს და გაზაფხულზე საზო-გადო სხდომებზე დაამტკიცებს, მთე-ლი ეს მუშაობა სულ 8—9 თვეს გასტანს, მაშინ როდესაც პირველ შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, ეს ვადა 14—15 თვეს უდრის.

ამრიგად, ზემოდ მოყვანილ წესის შემოღებით თითქმის ნახევარ წლით მცირდება ის დრო, რომელიც სმე-ტის ვარაუდის შედგენის და ხარჯთ-აღრიცხვის ასრულების შორის უნდა გავიდეს.

წინა წერილში ნათქვამი გვქონ-და, რომ ფინანსთა მინისტრმა დაა-ვალა სხვადასხვა უწყებას სმეტის ვარაუდი ნოემბერში წარედგინათ და იმედს გამოსთქვამდა 1919 წლის ხარჯთაღრიცხვის დროზე შედგენის შესახებ.

ამ განცხადებას ჩვენ ეჭვის თვა-ლით შევხედეთ, ჩვენ მიერ მოყვა-ნილი მოსაზრება სავსებით გამართ-ლდა. 1 ქრისტიშობისთვე გავიდა, მაგ-რამ ხარჯთაღრიცხვა არამცთუ ჯერ პარლამენტში შეტანილი არ არის, მის შემუშავებაზე ფიქრიც ნაად-რევია, რადგან საჭირო მასალა თვით ფინანსთა მინისტრს აქამდის ხელთ არა აქვს.

ვიმეორებთ, თუ კანონიერ წე-სით შედგენილ-დამტკიცებული ბიუ-ჯეტი გვსურს მალე ვიქონიოთ, უმჯობესია 1919 წლის ხარჯთაღრი-ცხვას თავი დავანებოთ.

თუ მაინც და მაინც ვესწრაფით ბიუჯეტის შედგენას, უკეთესი იქ-ნება იმ სახელმწეფოებს წავბაძოთ, რომლებიც თავის საბიუჯეტო წე-ლიწადს 1 ივლისიდან იწყებენ.

ამ შემთხვევაში ფინანსთა მი-ნისტრი ხარჯთაღრიცხვას იმ ვარა-უდით შეიმუშავებდა, რომ საფი-ნანსო წელიწადი დაწყობილიყო 1919 წლის 1 ივლისიდან და 1920 წლის 30 ივლისს დამთავრებულიყო.

არ დავმალავთ, რომ ამ წესის წინააღმდეგ ბევრი მოსაზრების მო-ყვანა შეიძლება.

ჩვენ გვეტყვიან, რომ საქ�-ლაქო და საფინანსო წლის დასა-წყისის ერთმანეთზე დაშორება დიდ უხერხულებას შეჰქმნის, რომ ამგვა-რი გამოსავალი სახარჯო ვადების სავსებით შეცვლას მოითხოვს და ჩვენ საფინანსო ტეხნიკას ძირიანად შეარყევს.

შესაძლებელია, ყველა ეს მოსა-ზრება მართალი იყოს. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ აღ-ნიშნულ წესს, როგორც უმჯობესს, დიდიხანია მიზდევს მთელი რიგი სახელმწიფოებისა და მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატები, იტალია, იაპონია და სხ., დავრწმუნ-დებით, რომ ყველა საწინააღმდეგო მოსაზრება, უმეტეს შემთხვევაში უფრო ჩვეულებაზე არის დამყარე-ბული, ვიდრე რომელიმე პატივსა-დებ საბუთზე.

ამიტომ ჩვენ დაბეჯითებით მოვი-თხოვთ ფინანსთა მინისტრის მიერ უკვე დაშვებულ შეცდომის გულახ-დილად აღიარებას და იმედს გამოვ-სთქვამთ, რომ სამინისტრო წინან-დელ პროექტს დროზე თავს დაა-ნებებს და ეხლავე შეუდგება 1919—20 წლის ხარჯთაღრიცხვის შემუ-შავებას.

ივ. ჩერქეზიშვილი.

(შემდეგი იქნება)

საზღვარ-გარეთ

(საქ. დეპ. სააგ.)

მოკავშირეები ვილჰელმის და კრონპრინცის შესახებ.

ინგლისური პრესა, 4 დეკ. მო-კავშირენი ყველაფერში შეთანხმდენ. მოკავშირეთა კონფერენციაზე ერთ-ხმად დაადგინეს: მოითხოვონ ეს-კაიზერის და კრონპრინცის გადმო-ცემა, რადგან მათ ომის დროს სა-ერთაშორისო უფლება დაარღვიეს.

ბოლშევიკების დესანტი.

ბოლშევიკებმა სცადეს ვიბორგის აღმოსავლეთით დესანტის გადმოსხმა, მაგრამ იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ. ბოლშევიკთა გემები კონ-ტროლს უწევს ფინის ყურეს. ჰელ-სინგფორსსა და რეველს შუა მი-მოსვლა შეწყდა.

ერცბერგის განცხადება.

როცა ერცბერგმა გახსნა იმ კო-მისიის სხდომა, რომელმაც უნდა განიხილოს სამხედრო ტყვეებისადმი სასტიკი მოპყრობის საბუთები, გა-ნაცხადა, რომ დაუნდობლათ დაის-ჯება ყველა ის, ვისაც დაუმტკიც-დება, რომ სამხედრო ტყვეებს სას-ტიკათ ეპყრობოდა.

გინდენბურგის დაპატიმრების გან-ზრახვა.

გერმანული გაზ. „ლოკალ-ან-ცა-იგერი“ იუწყება, რომ ლეიპციგის საბჭომ დაადგინა: დაითხოვონ მთა-ვარი შტაბი და დააპატიმრონ გინ-დენბურგი.

ბავარიის კაბინეტის მოთხოვნა.

ამსტერდამიდან იუწყებიან: ტურტ-ფირსნერმა ჰააზეს და ებერტს დე-პეშით შეატყობინა, რომ ბავარიის კაბინეტი ერთხმათ მოითხოვს, რომ გერმანიის ცალკე სახელმწიფოების წარმომადგენლები შეიკრიბონ..... (დამახინჯებულია) ან სხვა რომელი-მე ადგილას, ფარულ შინაურ პო-ლიტიკის, ეროვნულ ყრილობასთან დაკავშირებულ საკითხების და საი-დუმლო დოკუმენტების გამოქვეყნე-ბის შესახებ დადგენილებათა გამოსა-ტანათ.

ამერიკის ჯარი გერმანიის ტერი-ტორიაზე.

ამერიკის მესამე არმია განაგრ-ძობს გერმანიის ტერიტორიაზე წინ სვლას. ამ ჟამათ მან მიაღწია გლა-ადტ-ვალენბორნ-დაგუნ - ნავერსკეე-რენ-რინგერლკოფვის საერთო ხაზს.

მოკავშირეების შეთანხმება.

ლიდნი, 4 დეკ. კლემანსო და ფოში ლონდონიდან პარიზში დაბ-რუნდენ. ზავის პირობების შესახებ სრული შეთანხმება მოხდა, საფრან-გეთის, ინგლისის და იტალიის შორის

გოგენცოლერნები.

გერმანიამ გოგენცოლერნებს გერ-მანიიდან წასვლის ნება მისცა, მხო-ლოდ იმ პირობით, რომ ქონება არ წაიღონ.

მთაშავეთი და სერბია.

მთაშავალებმა მეფე ნიკოლოზი ტახტიდან ჩამოაგდეს და მთაშავე-თი და სერბია შეერთებულათ გა-მოაცხადეს.

ბოლშევიკების ცნობა

(საქ. დეპ. სააგ.)

მოსკოვი, 5 დეკემბერი. ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. სრუ-ლიად რუსეთის ც. ა. კ. დადგენი-ლება მუშათა და გლეხთა თავდაცვის მოსაწყობათ. საბჭოთა რესპუბლიკას საფრთხე მოელის საქვეყნო იმპერი-ლიზმის შეერთებულ ძალთაგან... (დამახინჯებულია) ს. რ. ც. ა. კ. ამოწმებს, რომ აუცილებელია გა-ასკეცდეს მუშათა, გლეხთა ჯარის-კაცთა და მეზღვაურთა ენერგია მუ-შათა და გლეხთა სახელმწიფოს და-ცვის საქმეში. ს. რ. ც. ა. კომი-ტეტის 1918 წ. 2 სექტემბრის დე-კრეტის ძალით საბჭოთა რესპუბლი-კა სამხედრო ბანაკად გამოცხადდა. ეს დადგენილება დღეს უნდა გატა-რდეს ცხოვრებაში. აუცილებელია ჯარის ყოველმხრივ უზრუნველყო-ფა. ამისთვის კი საჭიროა მუშაობის გაძლიერება. აუცილებელია ჯარის, ფლოტის, მოსკოვის, პეტროგრადის და სხვა ცენტრების უზრუნველყოფა სურსათის. ამიტომ საჭიროა ვაიძუ-ლოთ ყველა სასურსათო და რკი-ნის გზის ორგანო ცენტრში და ადგილობრივ იმუშავონ მეტი ენე-რგიით და სინიდისიერათ.

კურსკი, 4 დეკემ. გერმანიის ჯა-რის უფროსებს ოდესაში ეშინიათ, რომ გერმანიის ჯარში ბოლშევიზ-მი არ გავრცელდეს და ყოველ ღო-ნეს ხმარობენ ჯარის სამშობლოში დაბრუნების დასაჩქარებლათ. გერმა-ნელ ჯარის კაცთ გემებში სხამენ სამშობლოში გასამგზავრებლათ.

კიევი, 1 დეკემ. პეტლიურას და გერმანიის დეპუტატთა მთავარ საბ-

*) იხ. „შრომა“ №№. 49, 57, 70, 79.

ჭოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს დროებით ზავის ხელშეკრულებას.

მოსკოვი, 4 დეკემ. „ფორვერტსმა“ პროტესტი განაცხადა გერმანიის საბჭოთა ყრილობაზე რუსეთის წარმომადგენლების ჩამოსვლის გამო გაზეთის აზრით მოკავშირეებს არ შეუძლიათ ერთსა და იმავე დროს ებრძოლოს ბოლშევიკურ რუსეთს და გერმანიის ბოლშევიკებთან ზავის შეკრას. „ფორვერტსი“ სწერდა, რომ რუსეთს სურს ჩაშალოს მშვიდობიანი დამოკიდებულება, რომელიც მოკავშირეთა და გერმანიის შორის მყარდება, „ფორვერტსის“ გაფრთხილების მიუხედავად ბერლინის საბჭო სალამს უძღვნის საბჭოთა რუსეთის დელეგაციას. საერთაშორისო სოლიდარობის გრძნობამ მოკავშირეთა წინაშე შიში დასძლია. მოსკოვში ჩამოვიდენ დვინის გერმან. დეპუტატთა საბჭოს წარმომადგენელნი და გვაუწყეს, რომ გერმანელთა საბჭომ დვინსკში დაატუსაღა იქ შემდგარი რუსთა თეთრი გვარდიის მეთაურნი. დელეგატები ჩამოვიდენ, რომ მოელაპარაკონ რუსეთის მთავრობას დვინსკის რუსეთისთვის დაბრუნების შესახებ. კომუნისტურ პარტიების და ლატიშ-მსროლელთა კონფერენციაზე სვერდლოვმა განაცხადა, რომ წითელი ლატვას ბედი რუსეთის და საერთაშორისო რევოლიუციაზეა დამოკიდებული, ამიტომ შეუძლებელია ლატიშ მსროლელთა ლატვიაში გაგზავნა ეხლა, როდესაც იწყება ბრძოლა იმპერიალისტ შეთანხმების სახელმწიფოების და მოუწოდა განაგრძონ ბრძოლა სრული გამარჯვების მოპოებამდე. პროლეტარიატის სამხედრო ხელმძღვანელთა კურსებზე შესვლის გასაადვილებლათ

მოსკოვი, 5 დეკემბერი., (გაგრძელება). სამხედრო სამოსწავლო მთავარი სამმართველო ხსნის მოსამზადებელ კურსებს, სადაც სულ მოკლე ხანში შეასწავლიან წერა კითხვას არ მცოდნეთ, რომელთაც სამხედრო ასპარეზზე მუშაობა სწადიათ. მოსამზადებელ კურსების მსმენელნი წითელ არმიელებათ ჩაითვლებიან და სამხედრო საქმეს შეასწავლიან. კომუნისტების ცნობილი წარმომადგენელნი ხელმძღვანელობას გაუწევენ მსმენელთა პოლიტიკურ აღზრდას.

№-ის არმიის შტაბი. 4 დეკემბერი. კონგურის და კრასნოუფის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა სოსნოვსკოე დაიჭირა. ლისვენის მიმართულებით კუსეს რაიონში ჩვენმა ჯარმა ალექსანდროვის ქარხნისკენ დაიხია. კუშინსკის მიმართულებით, აზიატის და ურალის სადგურის რაიონებში ბრძოლაა

ბორისოვი, 3 დეკ. მინსკის პროფესიონალურ კავშირის საბჭომ დაადგინა, ყველა საწარმოვო დაწესებულებაში დაუყოვნებლივ აირჩიონ კომიტეტი.

ხარკოვი, 2 დეკ. იასის გაზეთი „ვიტორული“ რუსეთის დელეგატებზე და იასში მომხდარ თათბირზე სწერს: „ჩამოვიდენ საიმპერატორო რუსეთის ძველი მოღვაწენი. გაზეთ „ვიტორულმა“ მოათავსა მოკავშირეთა დიპლომატიის განცხადება: „მოკავშირეთა მდგომარეობა მძიმეა. მოკავშირეებს არ შეუძლია არ გაითვალისწინონ საერთო რევოლიუციონური მოძრაობა და ანგარიში გაუწიონ თავიანთ ჯარის სულიერ განწყობილებას“. ამ განცხადების ავტორისავე თხოვნით, გაზეთი მის ვინაობას არ აქვეყნებს.

ეკატერინოსლავი, 2 დეკ. ბურჟუაზიული გაზეთი მოითხოვს მოკავშირეთა დახმარებას, რადგან უკრაინა უცხოელთა დაუხმარებლათ ბოლშევიკების ხელში ჩავარდება.

კურსკი, 3 დეკ. იუზოვკიდან მივიღეთ მაკეევის კომენდანტის ბრძანება, სადაც ის განკარგულებას იძლევა დახვრიტონ და დაატყვევონ მუშები. დაჭერილი მუშები ჩამოახრჩონ მთავარ ქუჩაში და სამი დღის განმავლობაში არ ჩამოხსნან მათი გვამი.

ვორონეჟი, 4 დეკ. სათბობ მასალის სიმცირეს გამო მრეწველობა შეჩერდა. მრავალი მუშა უსაქმოთ დარჩა. სადგურებზე დიდძალი გასაკეთებელი და გაუსწორებელი ორთქმავალი და ვაგონი სდგას.

სხვა და სხვა ამბები.

უკრაინაში.

შეთანხმების სახელმწიფოთა შეკითხვაზე, შეუძლიათ თუ არა გერმანელ ჯარებს, რომელთაც თავს იდვეს უკრაინაში წესრიგის და მშვიდობიანობის დაცვა, შემდეგშიც შეასრულონ ეს მოვალეობა კიევის ჯარის-კაცთა დეპუტატების მთავარ საბჭოსთან შეთანხმებით, მათ დადებითად უპასუხეს. კიევის გარნიზონი გაძლიერებულია.

ბოლშევიკები და უკრაინის ამბები.

საბჭოთა „იზვესტიებში“ უკრაინის უკანასკნელ ამბების გამო სწერია:

„ამ საბედისწერო ისტორიულ ბრძოლაში ვინ უფრო ადრე მიაღწევს მიზანს? მოუსწრებენ ინგლისის რაზმები, სანამ საბჭოთა მთავრობა გაიმარჯვებს სამხრეთ რუსეთის მთავარ ცენტრებში, თუ სამხრეთ რუსეთის მუშები და გლეხები გამოიყენებენ მოსახერხებელ დროს გერმანიასა და ინგლისის ოკუპაციათა შუა, რომ აღადგინონ თავისი ძალა-უფლება და გამაგრდენ მთავარ პუნკტებში“.

ცნობები ხარკოვიდან.

მუშათა საოლქო კომიტეტის აღმასრულებელ ბიურომ დაადგინა: იმ შემთხვევაში, თუ დანიშნულ ვადამდი არ იქნენ განთავისუფლებულნი ყველა, ვინც არა სასამართლოს წესით არიან დატუსაღებულნი, ხარკოვში გამოცხადებული იქნება საერთო გაფიცვა. აღნიშნული დადგენილება აცნობეს მთავრობას.

— ბახმუტი რევოლიუციონურ ჯარების ხელშია. აღდგენილ ვარტას ისევ იარაღი აჰყარეს, აღადგინეს დემოკრატიული თვითმართველობა. ქალაქში წესრიგს იცავენ მუშათა დრუჟინები.

— გორლოვკა, ნიკიტოვკა და კონსტანტინოვკა რესპუბლიკანურ ჯარების ხელშია.

— ალექსანდროვსკი პეტლიურას ჯარმა დაიკავა. აღდგენილია დემოკრატიული თვითმართველობა. მუშათა კომიტეტის მოწოდებით გაფიცვა მოიხსნა.

— გერმანულ სოვდეპის მოთხოვნილებით ჰეტმანის ჯარებმა დასცალა პოლტავა და დაიკავა ხაზი ქალაქ გარეთ ბოჟკოვთან, სადაც გაიმართა ბრძოლა რესპუბლიკანულსა და ჰეტმანის ჯარებს შორის. ბრძოლის შედეგი გამოურკვეველია.

— შაპილოვოსთან (ხარკოვის გუბ.) მოხდა ბრძოლა რესპუბლიკანურ ჯარებსა და მოხალისეთა შორის. მოხალისეებმა დიდი ზარალით უკან დაიხიეს.

— ბატამან ბალაშაჩანის შტაბიდან იტყობინებიან: რესპუბლიკანურმა ჯარებმა დაიკავეს: კაზატინი, ჟმერინკა, კოროსტენი, სარიჩი, ვინნიცა, პროსკუროვო, კამენეც-პოდოლსკი, ცვეტკოვო, ბრაზი, კონევი, ბობრინსკაია, სკოვორა, ტარაშა და ჩერკასი.

„მიწა და თავისუფლების“ დროშის ქვეშ.

პეტლიურას ლაშქრის ძალა გლეხურ მასებშია, რომელთაც იზიდავს მომხიბლავი ლოზუნგი: — „მიწა“. როდესაც პეტლიურას ჯარმა დაიკავა ბელაია ცერკოვი, — მის გარშემო მდებარე სოფლებიდან გლეხები მიეშურებოდენ მის ჯარში ჩასაწერათ, რომელიც იბრძვის მიწა და თავისუფლების ლოზუნგის ქვეშ. გლეხებშია პეტლიურას უმთავრესი ძალა.

— „პანის ჯარები ხალხს ებრძვიან“ — ო, ასე ახასიათებენ გლეხები იმ ბრძოლას, რომელიც გამართულია ჰეტმანის ჯარებსა და პეტლიურას ლაშქარს შორის („პრ.“).

ყირიმში.

გერმანულ წყაროებიდან იტყობინებიან:

გარმანულ ჯარების გაყვანა ყირიმიდან და თავრიდიდან უკვე დაიწყო და წესიერათ მიმდინარეობს. გზა ბრესტ-ლიტოსკისაკენ თავისუფალია, თუმცა დასჭირდება დაცვა.

ლენ. დენიკინი და მობილიზაცია ყირიმში.

ყირიმში გამოცხადებულ იქნა მობილიზაცია უმაღლეს მთავარ სარდალ ლენ. დენიკინის ბრძანების თანახმათ.

შეიქმნა გაუგებრობა, როგორ მოხდა, რომ უკრაინისა და ყირიმის მთავრობის გავლენის ზონაში მოხალისეთა ჯარის სარდლობა სცემს ისეთ სერიოზულ ბრძანებებს, როგორიცაა ოფიცრების, იუნკრების და მოხალისეთა მობილიზაცია.

როგორც ვიცით, მოკავშირეთა თანხმობით მოხალისეთა ლაშქრის შტატთან ეწყობოდა სრულიად რუსეთის მთავრობა, რომელსაც უნდა შემოეერთებია რუსეთისათვის ჩამოცილებული ნაწილები, ეს იცოდენ აგრეთვე უკრაინისა და ყირიმის მთავრობებმა.

ციმბირის დირექტორიამ გამოსთქვა სურვილი, რომ ის დაემორჩილებოდა ეკატერინოდარის მთავრობას.

მოხალისეთა ჯარის წარმომადგენლებს ალაგებზე ეცნობათ, რომ სრულიად რუსეთის მთავრობის და უმაღლეს სარდლობის გამოცხადების შემდეგ, გამოეცხადებიათ ოფიცრების მობილიზაცია.

მაგრამ ამ მთავრობის შედგენა სხვა და სხვა პოლიტიკურ მოსაზრებებით გადაიდვა იასაში გამართულ თათბირის გათავებამდე.

მიუხედავათ ამისა, მოხალისეთა ჯარის წარმომადგენლებმა მაინც გამოაცხადეს მობილიზაცია, რასაც შედეგათ მოყვა აღნიშნული გაუგებრობა. („კრ. ვ.“).

ახალი მთავრობა არხანგელსკში.

მოსკოვის საბჭოთა წრეებიდან მიღებულ ცნობების თანახმად, არხანგელსკში შემდგარა ახალი მთავრობა, რომელსაც სათავეში უდგას სახალხო სოციალისტი ჩაიკოვსკი. წინანდელი უმაღლესი მთავრობა, უფრო კონსერვატიული მიმართულებისა დაიშალა. ნაწილი დაიჭირეს, ნაწილი გაიქცა.

დამფუძნებელი კრების ფრონტი.

დამფუძნებელ კრების ფრონტის ლაშქარმა მოკავშირეთა დახმარებით დაიწყო ფართო შეტევა. უფა-სამარის მიმართულებით, ორი დღის მწვავე ბრძოლის შემდეგ ქ. ბელეშოვსთან ბოლშევიკების „რკინის დივიზია“ დამარცხდა.

ოდესაში.

ოდესიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ, რომ ბაზარზე მოკავრიშეთა საქონლების გამოჩენის გამო, იქ პანიკაა. ფასები დღითი დღე ეცემა. მაგ. გირვანქა ყავა, რომელიც მანამდე 24 მ. ღირდა, ეხლა მხოლოდ 7 მ. იყიდება.

ალბათ, ასევე დაეცემა ფასი საქონელზე სამხრეთ რუსეთის სხვა ქალაქებშიც, სევასტოპოლში უკვე შეხვდებით ზოგიერთ მაღაზიებში განცხადებას: „იყიდება დადებულ ფასებზე 10—20 პროც. ნაკლებათ“.

ყირიმის მთავრობა და მოხალისეთა ჯარი.

მოხალისეთა ლაშქარი იმყოფება ყირიმში, როგორც მთელი რუსეთის ლაშქარი, მაგრამ ყირიმის შინაურ საქმეებში ის არ ჩაერევა. ყირიმის პრემიერ მინისტრის კრიმის სიტყვით, ყირიმის მთავრობას პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ლენ. დენიკინთან, მოხალისეთა ჯარის ყირიმში ყოფნის საკითხის შესახებ.

ყირიმის მთავრობის დამოკიდებულება უფის დირექტორიასთან.

ყირიმის მთავრობამ პირდაპირი კავშირი დაიჭირა უფის დირექტორიასთან და გაგზავნა მისი წარმომადგენელი. საერთოთ ყირიმის მთავრობა მზათ არის დაიკავოს კავშირი რუსეთის ყველა სახელმწიფო ერთეულებთან, რომელთაც არა აქვთ ავანტიურისტული ხასიათი.

იასის თათბირი.

იასის თათბირის შესახებ ყირიმის მთავრობის თავმჯდომარეს ს. ს. კრიმს შემდეგი ცნობები გადაუცია გაზ. „პრიბოის“-ს თანამშრომლისათვის:

„თათბირიდან დაბრუნებულმა მოსკოვის ქალაქის თავმა ვ. ვ. რუდნევმა ინფორმაცია გაუკეთა მინისტრთა საბჭოს ამ საკითხის შესახებ, მაგრამ ყველა საინფორმაციო მასალის გარჩევა ვერ მოესწრო, რადგან ყირიმის მთავრობის მთელი შემადგენლობა სევასტოპოლში გაემგზავრა და ამიტომ მინისტრთა საბჭოს ამ საკითხის შესახებ თავისი აზრი არ გამოუტანია.

ხოლო ს. ს. კრიმის პირადი აზრით ეს თათბირი სუსტათ და მოუხერხებლათ არის მოწყობილი. პირველათ თათბირის მომწყობი ცენტრი იყო სამი ორგანიზაცია: რუსეთის აღორძინების კავშირი, ნაციონალური ცენტრი და ყოფილ სახელმწიფო საბჭოს და სახ. საბჭოს თათბირის ბიურო, შემდეგ იასის თათბირს ბლომათ მიემატა მემარჯვენე ელემენტები, რამაც ყველაფერი არევ-დარია.

უუბანში.

მოკავშირეები ყუბანში.

— ეკატერინოდარში ჩავიდა სასწრაფო მატარებლით ინგლის-საფრანგეთის რაზმი, რომელშიდაც შედიან „კანტორანგას“ უფროსი ლეტნეუ, 35 ოფიცერი და 100 მატროსი.

— ნოვოროსიის ნავთსადგურს მიადგა ინგლისის ნაღმოსანი, რომელსაც შეხვდა კავკავის რკინის გზის გემი „ნოვოროსიისკი“ საფრანგეთის კონსულით. ნაღმოსნიდან გადასცეს, რომ ნავთსადგურში მოვა კიდევ საფრანგეთის 2 ჯავშნოსანი, ინგლისის 2 ნაღმოსანი.

ამას გარდა ნოვოროსიისკში ჩასულა კიდევ დიდი ტრანსპორტი სამხედრო მასალით მოხალისეთა ჯარისათვის.

ამ ჟამათ ნოვოროსიისკში იმყოფებიან აგრეთვე საფრანგეთის დრედნოუტი „ერნსტ რენანი“ და ინგლისის „ლივერპული“.

განხეთქილება ყუბანის საოლქო რადასა და მოხალისეთა ლაშქარს შორის.

ყუბანის საოლქო რადის სხდომაზე, რომელსაც დაესწრო აგრეთვე მოხალისეთა ლაშქარის წარმომადგენელი ლენ. ლუკომსკი, ხანგრძლივ კამათის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც, სხვათაშორის ნათქვამია; 1) ყუბანის რადა ისახავს მიზნათ ბოლშევიზმთან ბრძოლას, ფართო სახალხო მმართველობის პრინციპის ცხოვრებაში გასატარებლათ; 2) რუსეთის მომავალ სახელმწიფოებრივ ფორმის აღდგენას, ყუბანის ოლქის მცხოვრებნი — უკვე რებენ ხალხის სურვილის გამოხატველ სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევას.

ამ რეზოლიუციის მიღების შემდეგ, ლენ. ლუკომსკიმ განაცხადა, რომ კოლეგიური მთავრობა, რომლის შედგენას ისახავს მიზნათ ყუბანის რადა ვერასოდეს ვერ იქნება ძლიერი მთავრობა, ხოლო ასეთ საპასუხისმგებლო მომენტში საჭიროა ერთ მთლიან ძლიერი მთავრობის შექმნაო. ამიტომ ჩვენ ვერ გავხდებით პასუხის მგებელნი იმ პოლიტიკისა რომელსაც რადა აწარმოებს.

ამის შემდეგ მოხალისეთა ლაშქრის წარმომადგენლებმა დასტოვეს დარბაზი.

პროვინცია.

ახალ-სენაკი. ამ ბოლო დროს ახალ-სენაკის მაზრაში ძლიერ გახშირდა ქურდობა და ავაზაკობა. ამის გამო მცხოვრებნი თავზარ დაცემულნი არიან. უშიშრათ ქუჩაში კაცს ვერ გაუვლია, რადგან ავაზაკები არავის არ ზოგავენ.

ამას წივეთ სოფ. ხორშიდან ახალ-სენაკში მიმავალ ორ ამხანაგს ლ — ბს. დაუხვდენ გზაზე რამოდენიმე ბოროტმოქმედნი და გაძარცვეს. წაღებულ ფულის რაოდენობა გამოურკვეველია. სამწუხაროთ, ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირია.

საჭიროა ამას ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, რომ მცხოვრებნი თავისუფალ ქვეყანაში ისევე უნუგეშო მდგომარეობაში არ დარჩენ, როგორც ეს ბოქაულების რეჟიმის დროს იყო.

კოკუ.

მატარებლების მიმოსვლა

საქართველოს რესპუბლიკის რკინიგზებზე 20 ნოემბრიდან მატარებლები შემდეგი წესით იქლიან:

მატარებელი № 1 — გადის თფილისიდან — 17 ს. და 42 წ.,
ხაშურიდან — 22 ს. და 22 წ.,
რიონიდან — 3 ს. და 09 წ.,
ჩადის ფოთში — 6 ს. და 33 წ.,
„ № 3 გადის თბილისიდან 10 ს. და 25 წ.,
„ ხაშურიდან 18 ს. და 04 წ.,
„ რიონიდან — 23 ს. და 21 წ.,
გადის ფოთში — 4 ს. და 36 წ.,
„ № 5 გადის თბილისიდან — 22 ს. და 30 წ.,
„ ხაშურიდან — 4 ს. და 02 წ.,
„ რიონიდან — 9 ს. და 18 წ.,
ჩადის ფოთში — 13 ს. და 08 წ.,

გ ა მ ო დ ი ს:

მატარებელი № 2 ფოთიდან — 20 ს. და 49 წ.,
0 ს. და 14 წ.,
რიონიდან — ან — 5 ს. და 01 წ.,
ხაშურიდიოდის 8 ს. და 57 წ.,
თბილისშოთიდან 22 ს. და 34 წ.,
№ 4 იონიდან — 4 ს. და 30 წ.,
რურიდან — 12 ს. და 15 წ.,
ხაშისში მოდის 18 ს. და 25 წ.,
თბილფოთიდან — 16 ს. და 11 წ.,
№ 6 ხაშურიდან — 2 ს. და 33 წ.,
თბილისში პოდის 7 ს. და 20 წ.,

მატარებლები №№ 1 და 2, სწ... ა, თბილისსა და ფოთს შუა, ... ფია ვაგონების საჯდომი ალ... დანომრილია. პლაკკარტი ღირს ... გზავრო ბილეთის ფასის გარდა, ... დან. ყველა ვაგონებში.

მატარებლები №№ 5 და 6 — ... გზა ვრცა თბილისსა და ფოთს შ... ყველა ვაგონებში საჯდომი ალ... ბი დანომრილია, პლაკკარტი ღ... გარდა სამგზავრო ბილეთის ფ... 10 მან. ყველა კლასებში.

მატარებლები № 3 და 4 — საფ... ტია თბილისსა და ფოთს შ... პლაკკარტია.

სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი — ცენტრალური კომიტეტ...